


მცირე საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფის
საკონტროლო კითხვარი - როგორ გადავრჩეთ და გავხდეთ
წარმატებული კოვიდ-19-ის პანდემიის დასრულების შემდეგ




შესავალი

კოვიდ-19-ის გავლენის შედეგად შექმნილ უპრეცედენტო გარემოებებში ბევრი საწარმო აღმოჩნდა ისეთი პრობლემების წინაშე, რომლის მსგავსი მათ არასდროს ჰქონიათ. მრავალი მცირე საწარმოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ჰყავდეს სანდო კონსულტანტი, რომელსაც ახლანდელი კრიზისის პერიოდში დახმარებისა და კონსულტაციებისთვის მიმართავს.

მცირე და საშუალო აუდიტორულ ფირმებს საკმაოდ საფუძვლიანი წარმოდგენა აქვთ თავიანთი დამკვეთების საქმიანობის შესახებ და, ამავე დროს, გააჩნიათ ბევრი სპეციალური უნარ-ჩვევა, რაც აუცილებელია იმისთვის, მათ დაეხმარონ ამ რთულ დროს.

საჭირო რჩევების ხასიათი და მოცულობა დამოკიდებული იქნება სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის დარგის სპეციფიკაზე, ფულადი სახსრების რეზერვებსა და საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობაზე კოვიდ-19-ის პანდემიის დაწყებამდე. კრიზისის საწყის ეტაპებზე სახელმძღვანელო მითითებები იმისთვის იყო საჭირო, რომ საწარმოს მიეღოთ მთავრობის გრანტები და სუბსიდიები. ამჟამად ბევრი საწარმოსთვის „დადგა“ ცვალებადი გარემოებების ხანგრძლივი პერიოდი (ე.ი. „ნორმალურის შემდგომი“) და მათ ისევ ესაჭიროებათ დახმარება და გონივრული რჩევები. პროფესიონალ ბუღალტერს შეუძლია, დაეხმაროს მათ რისკების ეფექტიანად მართვასა და შემცირებაში, აუხსნას, როგორ უნდა მიიღონ შესაფერისი ზომები და გააძლიერონ საწარმო საშუალო - გრძელვადიან პერსპექტივაში.

მცირე საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფის საკონტროლო კითხვარი დიაგნოსტიკური ინსტრუმენტია და მოიცავს ფინანსური მართვისა და სტრატეგიული მართვის ამოცანების ორ ძირითად სფეროს. ეს დოკუმენტი იმისთვის არაა გამიზნული, რომ მოიცვას ყველა მოთხოვნა, არამედ არის ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს პრიორიტეტული ზომების გამოვლენას, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს.



ფინანსური მართვის ამოცანები

ზუსტ და დროულ ფინანსურ ინფორმაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ქვემოთ აღწერილი ფინანსური მართვის ამოცანების განხილვა აუცილებელია იმისთვის, რომ გაიგოთ, როგორ მუშაობს საწარმო და განსაზღვროთ ძირითადი მიმართულებები, სადაც საჭიროა დაუყოვნებლივ ზომების გატარება.

ღონისძიება	განსახილველი ზომები	კომენტარები
<ul style="list-style-type: none"> ➤ ფინანსური ანგარიშგების მომზადება, მიმოხილვა და გაანალიზება: <ul style="list-style-type: none"> ✓ ფინანსური შედეგების ანგარიშგება (მოგებისა და ზარალის ანგარიშგება) ✓ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) ✓ ფულადი ნაკადების ანგარიშგება 	<ul style="list-style-type: none"> ❑ მოგებისა და ზარალის ანგარიშგება, ბალანსი და ფულადი ნაკადების ანგარიშგება დაგეხმარებათ პრობლემების გამოვლენაში, როდესაც დააპირებთ გამოსასწორებელი ზომების გატარებას ❑ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე გამოითვალეთ ძირითადი კოეფიციენტები, როგორცაა მოკლევადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტი და მარაგის ბრუნვის კოეფიციენტი 	
<ul style="list-style-type: none"> ➤ ფულადი ნაკადების 3, 6 და 12- თვიანი პერიოდის პროგნოზების გამოთვლა და მიმოხილვა, საუკეთესო, ყველაზე უარესი და მოსალოდნელი სცენარების გამოყენებით ➤ ლიკვიდურობის მდგომარეობის გაუმჯობესება 	<ul style="list-style-type: none"> ❑ რეგულარულად განახლეთ ფულადი ნაკადების პროგნოზები, რათა აისახოს ფაქტობრივი მოვლენები და უწყვეტად განხორციელდეს მონიტორინგი ფულადი სახსრების მდგომარეობაზე ❑ განიხილეთ მომავალი ფულადი სახსრების უკმარისობის საკითხი, ვთქვათ, რომელი ხარჯების შემცირებაა შესაძლებელი, მაგალითად მივლინებისა (მგზავრობის) და მარკეტინგის ხარჯების გაწევა შესაძლებელია, რომ დროებით შეჩერდეს ❑ რამდენ ხანს შეძლებს საწარმო საქმიანობის გაგრძელებას მანამდე გამოიკვლიეთ, სანამ მომავალი ფულადი ნაკადები უარყოფითი გახდება ❑ განიხილეთ, რა ზომების გატარებაა შესაძლებელი საწარმოში შემოსული ფულადი სახსრების ზრდის უზრუნველსაყოფად, მაგალითად, უფრო მეტი ყურადღების კონცენტრაცია ისეთი პროდუქციის ხაზებზე/მომსახურებაზე, რომლებიც ისევ კარგად იყიდება ❑ გარე დაფინანსების წყაროებზე წვდომა (როგორცაა, ბანკის ოვერდრაფტი) 	

ლონისძიება	განსახილველი ზომები	კომენტარები
<ul style="list-style-type: none"> ➤ იმის დადგენა, საწარმოს სამეწარმეო საქმიანობას ეხება თუ არა კოვიდ-19-თან დაკავშირებით მთავრობის მიერ გაცემული გრანტის ან სუბსიდიის მიღება 	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> გაარკვეეთ, რა სახის გრანტები/სუბსიდიები/სესხებია ხელმისაწვდომი და მათი მიღების პირობები/მოთხოვნები 	
<ul style="list-style-type: none"> ➤ მგრძობელობის ანალიზის ჩატარება პროგნოზების გამოსათვლელად გამოყენებული დაშვებების ცვლილებების გათვალისწინებით 	<p>განიხილეთ:</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ისე გრძელდება თუ არა გაყიდვების შემცირება, მაგ., 15 ან 20%-ით <input type="checkbox"/> მთავარი მომხმარებლის დაკარგვის გავლენა <input type="checkbox"/> მთავარ მომწოდებელს შეუძლია თუ არა მოწოდება <input type="checkbox"/> რამდენ ხანს შეიძლება მოუწიოს საწარმოს ასეთი დანაკარგებით/ზარალით მუშაობა? <input type="checkbox"/> საუკეთესო-ყველაზე უარესი სცენარები მომდევნო 3, 6 ან 12- თვიანი პერიოდის საოპერაციო და ფინანსური მდგომარეობისთვის 	
<ul style="list-style-type: none"> ➤ საბრუნავი კაპიტალის მუხლების მიმოხილვა, მათ შორის: <ul style="list-style-type: none"> ✓ მარაგების ნაშთები ✓ ფულადი სახსრები ბანკში 	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> გაყიდვების შემცირება შესაძლოა იმას ნიშნავდეს, რომ საჭირო გახდება მარაგების ღირებულების ჩამოწერა/ფასშესწორება, ან მთლიანად ჩამოწერა, თუ დაძველებულია <input type="checkbox"/> გადაამუშავეთ, სხვა მიზნით გამოიყენეთ ან გაყიდეთ ძნელად მოძრავი მარაგები <input type="checkbox"/> გამოიკვლიეთ სპეციალური პირობებით გაყიდვების შესაძლებლობა, რათა შემცირდეს მარაგთან დაკავშირებული პროგნოზირებული ზარალი <input type="checkbox"/> გადახედეთ შესყიდვების პოლიტიკას, რათა თავიდან აიცილოთ მარაგებთან დაკავშირებული სახსრების გადახარჯვა 	

ღონისძიება	განსახილველი ზომები	კომენტარები
<ul style="list-style-type: none"> ➤ მოთხოვნების ანგარიშების ნაშთების/მოთხოვნების წიგნის ნაშთის მიმოხილვა ➤ ფორვარდული შეკვეთებისა და მომხმარებლის გადახდის პირობების მიმოხილვა 	<ul style="list-style-type: none"> ❑ დაადგინეთ მომხმარებლები, რომლებსაც დიდი მოცულობის დაუფარავი ნაშთები აქვთ და გაატარეთ დამატებითი ზომები: შესაძლებელია გადახდის მეთოდების მოდიფიცირება, მაგ., ავტომატიზებული გადარიცხვის სისტემის (ე.წ. გადახდა „პირდაპირი დებეტის“ მეთოდით) გამოყენება ძველი ნაშთების დასაფარად (და ახალი ნაშთების ამოსაღებად) ❑ მაშინვე გამოწერეთ ანგარიშ-ფაქტურა, როგორც კი მომსახურების ან პროდუქციის მიწოდებას განახორციელებთ ❑ გადახედეთ ფორვარდულ შეკვეთებს, რათა დაგეგმოთ ბიზნესის გაფართოების ან შეკვეცისთვის აუცილებელი მოკლევადიანი საჭიროებები, მაგ., მომხმარებლები ზრდიან თავიანთ შეკვეთებს თუ ამცირებენ/აუქმებენ? ხოლო თუ ასეა, როგორია საკრედიტო რისკი? ❑ გაითვალისწინეთ ახალი/არსებული მომხმარებლების კრედიტუნარიანობისა და ლიმიტების შემოწმება ❑ შესაძლებელია ახალი პროცესების შემოღება/დანერგვა ინტერნეტგადახდების სისტემის ასამოქმედებლად. ❑ გაითვალისწინეთ მოთხოვნების ფაქტორინგის გამოყენების შესაძლებლობა ფულადი სახსრების გამოსანთავისუფლებლად 	
<ul style="list-style-type: none"> ➤ გარკვეული აქტივების საბაზრო შეფასებების მიმოხილვა 	<ul style="list-style-type: none"> ❑ დაიხმარეთ ბუღალტერი ან პროფესიონალი შემფასებელი, საჭიროებისამებრ ❑ განიხილეთ, რომელი აქტივების გაყიდვაა შესაძლებელი ფულადი სახსრების მობილიზებისთვის ❑ გადახედეთ მნიშვნელოვან კაპიტალურ დანახარჯებს ან დროებით შეაჩერეთ მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება 	

ლონისძიება	განსახილველი ზომები	კომენტარები
<ul style="list-style-type: none"> ➤ კრედიტორის/სავაჭრო ვალდებულებების წიგნის ნაშთის მიმოხილვა ➤ მომწოდებლების ხელშეკრულებების ან გადახდის პირობების მიმოხილვა 	<ul style="list-style-type: none"> ❑ გამოიკვლიეთ ფინანსური ვალდებულებების გადახდის გადავადების ან გადახდის პირობების გადასინჯვის შესაძლებლობები, მაგ., უფრო მცირე ნაწილების გადახდა, ფასდათმობები, გადახდის ვადების გახანგრძლივება ❑ განიხილეთ, როგორ ხდება საქონლის მოწოდება, მაგ., გადახედეთ ექსკლუზიურ უფლებებთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო მუხლებს ❑ მოიძიეთ მნიშვნელოვანი საქონლის ალტერნატიული მომწოდებლები ❑ შეისწავლეთ ხელშეკრულებები, რათა გაიგოთ, რა სახელშეკრულებო ვალდებულებები გაქვთ და გაარკვიოთ, შესაძლებელია თუ არა შეკვეთების შეცვლა, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, საჭიროებისამებრ (მაგ., გაუქმება, შემცირება ან გაზრდა) ❑ გამოიკვლიეთ მარეგულირებელი ორგანოების მიერ შემოთავაზებული, გადახდის გადავადების პირობები ❑ კარგად შეისწავლეთ ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც ფორსმაჟორულ სიტუაციას ეხება 	
<ul style="list-style-type: none"> ➤ ბანკის სესხების, იჯარის, საკრედიტო ბარათების ან დაფინანსების სხვა საშუალებების მიმოხილვა: <ul style="list-style-type: none"> ✓ გადახდის გრაფიკისა და ლიკვიდურობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შემოწმება ✓ სასესხო ხელშეკრულებების შემზღუდავი პირობების (კოვენანტების) შესრულების მდგომარეობის შემოწმება 	<ul style="list-style-type: none"> ❑ გაარკვიეთ, რა არის საჭირო მოკლევადიანი ვალდებულებების შესასრულებლად ❑ გამოიკვლიეთ გარე დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობები/ვარიანტები, ან ხელახლა აწარმოვეთ მოლაპარაკებები ფინანსურ გადახდებთან დაკავშირებით, სასესხო ვალდებულებების (ან საპროცენტო განაკვეთების) გათვალისწინებით და სცადეთ, მოიპოვოთ ვალის რესტრუქტურისაციის გეგმები ❑ ბანკს დაუყოვნებლივ აცნობეთ, თუ საწარმო არღვევს სასესხო ხელშეკრულების შემზღუდავი პირობას (ან მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში დაარღვევს) 	

ღონისძიება	განსახილველი ზომები	კომენტარები
<ul style="list-style-type: none"> ➤ ფინანსური ვალდებულებების მიმოხილვა, როგორცაა საოფისე შენობებისა და მოწყობილობების იჯარა ➤ იმის შემოწმება, რომელი აქტივები რომელი სესხის უზრუნველყოფის სახით არის გამოყენებული 	<ul style="list-style-type: none"> ❑ მიწის ნაკვეთის მფლობელთან (მეიჯარესთან) ერთად განიხილეთ იჯარის პირობები და საიჯარო ქირის გადახდის ვარიანტები ❑ განიხილეთ იჯარის (ხელშეკრულების) გაუქმების შესაძლებლობები/ვარიანტები ❑ მოლაპარაკებები აწარმოეთ საოფისე შენობებისა და მოწყობილობების კონცესიის შესაძლებლობების შესახებ 	

სტრატეგიული მართვის ამოცანები

მნიშვნელოვანია, გადახედოთ საწარმოს სტრატეგიას, გეგმასა და საოპერაციო პროცედურებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა.

ლონისძიება	განსახილველი ზომები	კომენტარები
<ul style="list-style-type: none"> ➤ ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ➤ დისტანციური მუშაობის ორგანიზება, როდესაც შესაძლებელია 	<ul style="list-style-type: none"> ❑ შეისწავლეთ დისტანციური ოპერაციები, მათ შორის მათი გავლენა სისტემებსა და პროცესებზე და ასევე, კონკრეტულად რა ცვლილებებს გამოიწვევს ❑ საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფით პერსონალი, რომელსაც სახლში შეუძლია მუშაობა ❑ პერსონალს შეუქმენით მოხერხებული სამუშაო პირობები და უზრუნველყოფით მათი შრომითი საქმიანობისა და პირადი ცხოვრების დაბალანსება ❑ აუცილებლობის შემთხვევაში, პერსონალი უზრუნველყოფით პერსონალური დამცავი მოწყობილობებით ❑ პროდუქტიულობისა და შესაძლებლობების მართვა, მაგ., ალტერნატიული სამუშაო გრაფიკები და უსაფრთხო მგზავრობა ❑ თანაგრძნობით მოეკიდეთ თანამშრომლების სირთულეებსა და პრობლემებს, მაგ., შეცვალეთ წლიური ანაზღაურებადი შვებულებებისა და ავადმყოფობის გამო შვებულებების პოლიტიკა ❑ სამუშაო ადგილები მოამზადეთ ინფექციის საწინააღმდეგო ზომების გასატარებლად და დარწმუნდით, რომ ისინი სათანადოდ გასუფთავდა და დეზინფიცირებულია 	
<ul style="list-style-type: none"> ➤ პერსონალის საქმიანობის ხელმძღვანელობისა და გამჭვირვალე კომუნიკაციის უზრუნველყოფა 	<ul style="list-style-type: none"> ❑ მიზნად დაისახეთ შეტყობინებების ხშირად გაგზავნა და ოპერატიულობა _ გაზარდეთ პერსონალთან კონტაქტების რიცხვი, რათა დაკავდეთ ისეთი საკითხებით, რომლებიც დაკავშირებული არ არის სამუშაოსთან, მაგ., მოაწყვეთ ვირტუალური სოციალური ღონისძიებები ❑ განიხილეთ შესაფერისი მეთოდები, რომლის მეშვეობით შესაძლებელია იქნება ჯანსაღი განწყობილების, პროდუქტიულობისა და ჩართულობის შენარჩუნება 	

დონისძიება	განსახილველი ზომები	კომენტარები
	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ყველა დონეზე წაახალისეთ კრეატიულობა, ინოვაცია და გადაწყვეტილებების მიღება <input type="checkbox"/> განამტკიცეთ ნდობა, მხარი დაუჭირეთ თანამშრომლებს და გაიცნობიერეთ მათი ემოციური პრობლემები და პირადი კეთილდღეობის მნიშვნელობა <input type="checkbox"/> გამჭვირვალე გახადეთ სამომავლო საოპერაციო გეგმები <input type="checkbox"/> სთხოვეთ თანამშრომლებს, მოგაწოდონ საკუთარი მოსაზრებები იმის თაობაზე, როგორ შეიძლება გადარჩეს საწარმო და გახდეს წარმატებული 	
<ul style="list-style-type: none"> ➤ მარეგულირებელი მოთხოვნების მიმოხილვა 	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შეამოწმეთ, როგორ გახანგრძლივდა ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგებების წარდგენის ვადები <input type="checkbox"/> გაარკვიეთ, სასარგებლო იქნება თუ არა წარდგენის უკიდურესი ვადების დაცვა – მაგალითად, ანგარიშგების ადრე წარდგენის შედეგად შესაძლოა უფრო სწრაფად გახდეს შესაძლებელი მთავრობის დახმარებისა და კომპენსაციების მიღება <input type="checkbox"/> გაითვალისწინეთ კოვიდ-19-თან დაკავშირებული ახალი მოთხოვნები, როგორიცაა ჯგუფური შეკრებების აკრძალვა 	
<ul style="list-style-type: none"> ➤ სტრატეგიული გეგმის განახლება ➤ ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზის (SWOT) ჩატარება 	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> დაუყოვნებლივ შეიმუშავეთ ან განახლეთ საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების გეგმები და რაოდენობრივად შეაფასეთ რისკის ფაქტორი. გაიცნობიერეთ, რომ ეს არის უპრეცედენტო კრიზისი <input type="checkbox"/> განსაზღვრეთ, რომელ პროდუქტებს ან მომსახურებას აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა მუდმივი ფულადი ნაკადების გენერირებისთვის და ამიტომ აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს <input type="checkbox"/> ყურადღება გაამახვილეთ მომსახურების/პროდუქციის ისეთ სახეობებზე, რომლებზეც ყველაზე დიდი მოთხოვნა არსებობს – მაქსიმალურად გაზრდის გაყიდვების მოცულობას და მოგებიანობას <input type="checkbox"/> განიხილეთ, აუცილებელია თუ არა რესურსების გადანაწილება გარკვეული სახის საქმიანობების გასაძლიერებლად, ან საჭიროა თუ არა ხელშეკრულება ან დროებითი პერსონალი 	

ღონისძიება	განსახილველი ზომები	კომენტარები
	<ul style="list-style-type: none"> ❑ განიხილეთ და გამოიკვლიეთ ამონაგების მიღების ახალი და განსხვავებული შესაძლებლობები/ვარიანტები, ან ალტერნატიულ ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობები/ვარიანტები. გაითვალისწინეთ, როგორ დააკმაყოფილებთ მომხმარებლების ქცევის ცვლილებით განპირობებულ განსხვავებულ საჭიროებებსა და მოთხოვნებს ❑ გამოიკვლიეთ საწარმოს საქმიანობის განხორციელებისა და მომხმარებლისთვის პროდუქტების/მომსახურების მიწოდების ახალი გზები და საშუალებები ❑ გადაწყვეტილებების მიღების პროცესების ცენტრალიზაცია მოახდინეთ ძირითად პერსონალში ❑ განახორციელეთ სტრუქტურული ცვლილებები და გაითვალისწინეთ მათი გრძელვადიანი გავლენა _ ამ ცვლილებების გავლენა გამოვლინდება არა მარტო დღეს, არამედ ხვალც და შემდგომშიც _ განიხილეთ, რა გარდამავალი ეტაპებია აუცილებელი იმისთვის, რომ გამოიკვლიოთ და გადახვიდეთ ახალ ნორმებზე 	
<p>➤ ინტერნეტსივრცეში საწარმოს წვდომის შესაძლებლობების უზრუნველყოფა ან გაფართოვება</p>	<ul style="list-style-type: none"> ❑ თუ არსებობენ მომხმარებლები, რომლებიც სახლში დარჩებიან და ინტერნეტის მეშვეობით განახორციელებენ შესყიდვებს, უზრუნველყავით ან გააფართოვეთ ინტერნეტსივრცეში საწარმოს წვდომის შესაძლებლობები ამგვარ მომხმარებლებთან კავშირის დასამყარებლად, მაგალითად, უშუალო ვებგვერდის ან სოციალური ქსელების მეშვეობით ❑ ინტერნეტგაყიდვებთან დაკავშირებით კარგად გაიაზრეთ, ყველაზე უკეთ რა სახით/გზით შეიძლება მომხმარებლებისთვის პროდუქციის ან მომსახურების მიწოდება 	

ღონისძიება	განსახილველი ზომები	კომენტარები
<p>➤ მუდმივად მჭიდრო კავშირის შენარჩუნება მომხმარებლებთან _ როგორ მოახდენს საწარმო რეაგირებას, ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნება მომხმარებლების გრძელვადიანი ერთგულებისა და საწარმოს რეკუტაციის შელახვის რისკისთვის</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნიეთ მომხმარებლებთან ურთიერთქმედება, მაგ., რეგულარული კავშირი გქონდეთ ძირითად მომხმარებლებთან ისეთ ოპერაციებსა და მომსახურებასთან დაკავშირებით, რომლებიც ჯერ ისევ ხელმისაწვდომია <input type="checkbox"/> განიხილეთ, რა შეგიძლიათ შესთავაზოთ მომხმარებლებს ურთიერთობის გასამყარებლად, მაგრამ თქვენი შეთავაზება არ უნდა მიიჩნეოდეს მხოლოდ არსებული გარემოებებით ნაკარნახევ, პირადი სარგებლით მოტივირებულ ღონისძიებად <input type="checkbox"/> მომხმარებლებთან ურთიერთობა, შეძლებისდაგვარად, განახორციელეთ ინტერნეტის მეშვეობით, <input type="checkbox"/> გამოიყენეთ სხვადასხვა საკომუნიკაციო მექანიზმი - ელფოსტა, ვიდეო, სოციალური ქსელები და ა.შ., მაგრამ პირადი კონტაქტის დასამყარებლად ნუ უფლებელყოფთ პირდაპირ სატელეფონო კავშირს <input type="checkbox"/> გამოიყენეთ მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის (CRM) არსებული სისტემები და მონაცემები <input type="checkbox"/> განიხილეთ ალტერნატიული გზების გამოყენების შესაძლებლობები მომხმარებლებისთვის სხვადასხვა სახის მომსახურების გასაწევად 	
<p>➤ „პოლიტიკის სახელმძღვანელოს“ შემუშავება, განახლება/გადახედვა“</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ გადახედეთ პერსონალის უფლებამოსილებას ფულის დახარჯვის საკითხში ✓ გაითვალისწინეთ თაღლითობის რისკი ✓ პერსონალს გააცანით და შეასწავლეთ თქვენი პოლიტიკა 	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> გადახედეთ აქტივების დაცვისთვის განკუთვნილ შიდა კონტროლის მექანიზმებს, როგორცაა, მაგალითად: <ul style="list-style-type: none"> ✓ ოპერაციების დამტკიცება ✓ ნებისმიერი გადახდის ოპერაციის დამტკიცების უფლებამოსილების დონე, მომწოდებლის/მომხმარებლის ხელშეკრულებების დამტკიცება ✓ ონლაინსისტემის წვდომის უსაფრთხოების საკითხი <input type="checkbox"/> ვინაიდან, შესაძლებელია, რომ გაზრდილი იყოს თაღლითობის რისკი, პერსონალთან ერთად განიხილეთ პრევენციული ზომები და დაადგინეთ, დაცულია თუ არა შესაფერისი პროცედურები და პოლიტიკა 	

დონისძიება	განსახილველი ზომები	კომენტარები
<p>➤ საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების გადახედვა და განახლება, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ რა ლიცენზიებია აუცილებელი განახლებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებისთვის ✓ გაფართოებულია თუ არა ციფრული შესაძლებლობები და დაცულია თუ არა კიბერუსაფრთხოების პროტოკოლები ✓ ხშირად ხდება თუ არა სარეზერვო ასლების შექმნა და ინახება თუ არა ისინი სისტემის გარეთ ✓ დაკმაყოფილებულია თუ არა პერსონალის სწავლების საჭიროებები ✓ გადაიხედა თუ არა ავარიული შემთხვევისთვის განკუთვნილი მონაცემთა აღდგენის გეგმის დოკუმენტაცია 	<ul style="list-style-type: none"> ❑ თუ შესაძლებელია, უფრო მეტი ინვესტიცია ჩადეთ კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ❑ გაითვალისწინეთ კიბერდანაშაულისა და მაქინაციების ზრდის შესაძლებლობები ინტერნეტის მეშვეობით. სანამ რომელიმე კერძო კომპანიას თქვენს მონაცემებს გადასცემთ, ჯერ კარგად დაფიქრდით და ისე მიიღეთ გადაწყვეტილება ❑ დარწმუნდით, რომ იყენებთ პროგრამული უზრუნველყოფის თანამედროვე ვერსიებს, არ გაქვთ არასანქცირებული ვერსიები და ლიცენზიების რაოდენობა შეესაბამება ტექნოლოგიების მომხმარებლების რაოდენობას ❑ შეამოწმეთ ვირტუალური კერძო ქსელის გამტარუნარიანობა, ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მონაცემთა დამცავი მექანიზმები პიკურ პერიოდებში ❑ შეამოწმეთ, იცის თუ არა პერსონალმა, როგორ უნდა აღადგინოს სარეზერვო ასლები და თავიანთი ნამუშევარი ❑ ორგანიზება გაუკეთეთ პერსონალის სწავლებას, ონლაინინსტრუმენტებისა და ვირტუალური შეხვედრების მოწყობის უნარების დასაუფლებლად ❑ თითოეული პროგრამული პროდუქტისთვის განსაზღვრეთ „ჩემპიონი“, პრაქტიკული ცოდნის შიდა გადაცემის პროცესის ეფექტიანობის ასამაღლებლად 	
<p>➤ საწარმოს დაზღვევით მოცული საქმიანობის გადახედვა, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ პოლისის ტიპის ✓ რა თანხას ეხება დაზღვევა 	<ul style="list-style-type: none"> ❑ გაარკვიეთ, დაზღვევა მოიცავს თუ არა საწარმოს საქმიანობის შეჩერებას, ფინანსურ ზარალს, გადახდისუნარიანობას, სიცოცხლის დაზღვევას, შემოსავლის ჩანაცვლებას და ა.შ. 	
<p>➤ გზების მოძიება საწარმოს საქმიანობაში გამოყენებული რესურსების შესამცირებლად. განიხილეთ:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ საჭირო პერსონალი ✓ წყლის, ელექტროენერჯის, გაზის, ბენზინის/დიზელის საწვავის მოხმარება 	<ul style="list-style-type: none"> ❑ გადახედეთ პერსონალის დონეს და განსაზღვრეთ, ვინ არის საჭირო არსებითი ოპერაციების განსახორციელებლად; განიხილეთ თანამშრომელთა შემცირების, ანაზღაურების შემცირების საკითხი, სამუშაო საათების რაოდენობა, გამოიკვლიეთ ანაზღაურების გარეშე შვებულებების მიცემის ვარიანტები ❑ შეამცირეთ აქციონერთა დივიდენდები 	

ღონისძიება	განსახილველი ზომები	კომენტარები
<ul style="list-style-type: none"> ✓ ადგილობრივი მომწოდებლების გამოყენების საკითხი, თუ შესაძლებელია ✓ არაპროდუქტიული რგოლების ან პროცესების გაუქმების საკითხი 	<ul style="list-style-type: none"> ❑ განსაზღვრეთ დანახარჯების შემცირების შესაძლებლობები, მაგალითად, შეამცირეთ მგზავრობის (მივლინების) ხარჯები და წარმომადგენლობითი ხარჯები 	



კოვიდ-19 რესურსები IFAC-ის ქსელიდან

IFAC-მა, როგორც ინფორმაციის/ცოდნის გავრცელების ორგანიზატორმა, კოვიდ-19-თან დაკავშირებით შექმნა სპეციალური ვებგვერდი, რომელიც აღჭურვილია ჩვენი წევრი ბუღალტერთა პროფესიული ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული აუცილებელი რესურსებით, სახელმძღვანელო მითითებებითა და რჩევებით.

თემატური მიმართულებები მოიცავს აუდიტს, ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფასა და კრიზისის მართვას, ასევე პროფესიულ და პირად ჯანმრთელობას.

ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ ორგანიზაციებსა და ინდივიდებს, რათა მათ მოქნილობა გამოიჩინონ ამ სწრაფად ცვალებად სიტუაციასთან ადაპტაციის, ინოვაციების დანერგვისა და სიტუაციის მართვის საკითხში.

Knowledge Gateway

ბსფ-ს ვებგვერდზე ეწვიეთ [IFAC Knowledge Gateway](#) განყოფილებას, რათა მოიძიოთ შესაფერისი სტატიები, ვიდეოები და სხვა რესურსები, რომლებიც გავლენას ახდენს ბუღალტრის გლობალურ პროფესიაზე, ასევე შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ და მიიღოთ საინფორმაციო ბიულეტენის უახლესი ნომრები (რომელიც გამოდის ორ კვირაში ერთხელ), სადაც მოკლედ არის მიმოხილული მთელი ინფორმაცია, რომელიც ამ განყოფილებას ემეტება ყოველ ორ კვირაში ერთხელ.

IFAC, წევრ ორგანიზაციებთან ერთად, ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს ბუღალტრის გლობალური პროფესიის აქტუალურობის, რეპუტაციისა და მნიშვნელობის გაზრდის გზით. IFAC- ის სამი სტრატეგიული მიზანია:

- ხელი შეუწყოს მაღალი ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებას, აღიარებასა და დანერგვას;
- პროფესია წინასწარ მოამზადოს მომავალი გამოწვევებისთვის; და
- „რუპორის“ როლი ითამაშოს პროფესიისთვის.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე:
christopherarnold@ifac.org.

განსახილველ პროექტებს, საკონსულტაციო დოკუმენტებსა და IFAC-ის სხვა პუბლიკაციებს გამოსცემს IFAC და საავტორო უფლებაც IFAC-ს ეკუთვნის.

IFAC პასუხს არ აგებს იმ ზარალზე, რომელიც განიცადა პირმა, წინამდებარე გამოცემაში გამოყენებული მასალის საფუძველზე მოქმედების ან თავის შეკავების შედეგად, მიუხედავად იმისა, რითი იყო გამოწვეული ეს ზარალი, დაუდევრობით თუ სხვა მიზეზით.

ლოგო IFAC, ‘International Federation of Accountants’ და ‘IFAC’ IFAC-ის რეგისტრირებული სავაჭრო და მომსახურების ნიშნებია აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.

სავტორო უფლება © 2020 წელი, ეკუთვნის International Federation of Accountants (IFAC). ყველა უფლება დაცულია. ამ დოკუმენტის გამრავლების, შენახვის, გადაცემის ან სხვა ანალოგიური წესით გამოყენებისთვის აუცილებელია IFAC-ის წერილობითი ნებართვა. ნებართვის მისაღებად დაგვიკავშირდით permissions@ifac.org.

ISBN: 978-1-60815-443-2

SMALL BUSINESS CONTINUITY CHECKLIST HOW TO SURVIVE AND THRIVE POST COVID-19

მცირე საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფის საკონტროლო კითხვარი _ როგორ გადავრჩეთ და გავხდეთ წარმატებული კოვიდ-19-ის პანდემიის დასრულების შემდეგ

წინამდებარე დოკუმენტი „მცირე საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფის საკონტროლო კითხვარი _ როგორ გადავრჩეთ და გავხდეთ წარმატებული კოვიდ-19-ის პანდემიის დასრულების შემდეგ“, რომელიც მოამზადა მცირე და საშუალო ფირმების საერთაშორისო საბჭომ და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციამ (IFAC) ინგლისურ ენაზე გამოსცა 2020 წლის მაისში, ქართულ ენაზე თარგმნა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა 2020 წლის მაისში და გამოიცემა IFAC-ის ნებართვით. IFAC-ის პუბლიკაციების დამტკიცებულ ტექსტად მიიჩნევა IFAC-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი. IFAC თავის თავზე არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე, ან ქმედებებზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მის გამოყენებას.

„მცირე საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფის საკონტროლო კითხვარი _ როგორ გადავრჩეთ და გავხდეთ წარმატებული კოვიდ-19-ის პანდემიის დასრულების შემდეგ“, ინგლისურენოვანი ტექსტი © 2020 წ. International Federation of Accountants (IFAC). ყველა უფლება დაცულია.

„მცირე საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფის საკონტროლო კითხვარი _ როგორ გადავრჩეთ და გავხდეთ წარმატებული კოვიდ-19-ის პანდემიის დასრულების შემდეგ“, ქართულენოვანი ტექსტი © 2020 წ. International Federation of Accountants (IFAC). ყველა უფლება დაცულია.

ორიგინალური ვერსიის სახელწოდება: *The Small Business Continuity Checklist – How to Survive and Thrive Post Covid-19.*

წინამდებარე დოკუმენტის გამრავლების, შენახვის, ან გადაცემის, ან სხვა ანალოგიური მიზნით გამოყენებისთვის ნებართვის მისაღებად დაგვიკავშირდით: Permissions@ifac.org

გამოსცა:



თარგმნა:



International Federation of Accountants
529 Fifth Avenue
New York, NY 10017
USA
+1 (212) 286-9344
www.ifac.org



@IFAC_SMP
 IFAC SMP Community
 [International Federation of Accountants](https://www.facebook.com/InternationalFederationofAccountants)